

ყაზბეგის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №16
2017 წლის 19 დეკემბერი

დაბა სტეფანწმინდა

ყაზბეგის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „დ.ა“ ქვეპუნქტისა და 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, ყაზბეგის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

მუხლი 1

დამტკიცდეს ყაზბეგის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტი 7033.0 (შვიდი მილიონ ოცდაცამეტი) ათასი ლარის ოდენობით, დანართის შესაბამისად.

მუხლი 2

დადგენილების მოქმედება გავრცელდეს 2018 წლის 1 იანვრიდან წარმოშობილ სამართლებრივ ურთიერთობებზე.

მუხლი 3

დადგენილება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.

ყაზბეგის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე

გრიგოლ სეთურიძე

ყაზბეგის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი

მუხლი 1. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ბალანსი

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ბალანსი თანდართული რედაქციით:

| დასახელება | 2016 წლის ფაქტი | 2017 წლის გეგმა | | | 2018 წლის გეგმა | | |
|-------------------------|-----------------|-----------------|-------------------------------------------------------|----------------------|-----------------|-------------------------------------------------------|----------------------|
| | | სულ | მათ შორის | | სულ | მათ შორის | |
| | | | სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები | საკუთარი შემოსავლები | | სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები | საკუთარი შემოსავლები |
| შემოსავლები | 8482.4 | 8224,7 | 2047,7 | 6177,0 | 7033.0 | 0.0 | 7033.0 |
| გადასახადები | 4209.8 | 4107,6 | 0.0 | 4107,6 | 4164.0 | 0.0 | 4164.0 |
| გრანტები | 2561.2 | 2047,7 | 2047,7 | 0.0 | 85.0 | 0.0 | 85.0 |
| სხვა შემოსავლები | 1711.4 | 2069,4 | 0.0 | 2069,4 | 2784.0 | 0.0 | 2784.0 |
| ხარჯები | 3037.3 | 3728,8 | 256.1 | 3472,7 | 3790.2 | 0.0 | 3790.2 |
| შრომის ანაზღაურება | 917.7 | 846,7 | 27,6 | 819,1 | 856.5 | 0.0 | 856.5 |
| საქონელი და მომსახურება | 432.6 | 939,3 | 186.4 | 752,9 | 902.0 | 0.0 | 902.0 |
| პროცენტი | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| სუბსიდიები | 1501.9 | 1745,8 | 42,1 | 1703,7 | 1845.5 | 0.0 | 1845.5 |
| გრანტები | 11.0 | 17.5 | 0.0 | 17.5 | 6.2 | 0.0 | 6.2 |



| | | | | | | | |
|---------------------------------|--------|---------|--------|---------|--------|-----|--------|
| სოციალური უზრუნველყოფა | 161.7 | 157.3 | 0.0 | 157.3 | 163.0 | 0.0 | 163.0 |
| სხვა ხარჯები | 12.3 | 22.2 | 0.0 | 22.2 | 17.0 | 0.0 | 17.0 |
| საოპერაციო სალდო | 5445.1 | 4495,9 | 1791,6 | 2704,3 | 3242.8 | 0.0 | 3242.8 |
| არაფინანსური აქტივების ცვლილება | 3514.5 | 8469,1 | 1970,0 | 6499,1 | 3242.8 | 0.0 | 3242.8 |
| ზრდა | 3605.9 | 8469,1 | 1970,0 | 6499,1 | 3242.8 | 0.0 | 3242.8 |
| კლება | 91.4 | 0.0 | 0.0 | 0.0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| მთლიანი სალდო | 1930.6 | -3973.2 | -178.4 | -3794.8 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| ფინანსური აქტივების ცვლილება | 1927.5 | -3973,2 | -178,4 | -3794,8 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| ზრდა | 2035.6 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| ვალუტა და დეპოზიტები | 2035.6 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| კლება | 108.1 | 3973,2 | 178,4 | 3794,8 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| ვალუტა და დეპოზიტები | 108.1 | 3973,2 | 178,4 | 3794,8 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| ვალდებულებების ცვლილება | -3.1 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| ზრდა | 0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| კლება | 3.1 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| ბალანსი | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 |

მუხლი 2. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსულობები, გადასახდელები და ნაშთის ცვლილება განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსულობები, გადასახდელები და ნაშთის ცვლილება თანდართული რედაქციით:

| დასახელება | 2016 წლის ფაქტი | 2017 წლის გეგმა | | | 2018 წლის გეგმა | | |
|-----------------------------------------------|-----------------|-----------------|-------------------------------------------------------|----------------------|-----------------|-------------------------------------------------------|----------------------|
| | | სულ | მათ შორის | | სულ | მათ შორის | |
| | | | სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები | საკუთარი შემოსავლები | | სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები | საკუთარი შემოსავლები |
| შემოსულობები | 8573.8 | 8224,7 | 2047,7 | 6177,0 | 7033.0 | 0.0 | 7033.0 |
| შემოსავლები | 8482.4 | 8224,7 | 2047,7 | 6177,0 | 7033.0 | 0.0 | 7033.0 |
| არაფინანსური აქტივების კლება | 91.4 | 0,0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| ფინანსური აქტივების კლება (ნაშთის გამოკლებით) | 0.0 | 0,0 | 0.0 | 0,0 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| ვალდებულებების ზრდა | 0.0 | 0,0 | 0.0 | 0,0 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| გადასახდელები | 6646.3 | 12197,9 | 2226,1 | 9971,8 | 7033.0 | 0.0 | 7033.0 |
| ხარჯები | 3037.3 | 3728,8 | 256,1 | 3472,7 | 3790.2 | 0.0 | 3790.2 |



| | | | | | | | |
|----------------------------------------------|--------|----------|--------|----------|--------|-----|--------|
| არაფინანსური აქტივების ზრდა | 2084.5 | 8469,1 | 1970,0 | 6499,1 | 3242.8 | 0.0 | 3242.8 |
| ფინანსური აქტივების ზრდა (ნაშთის გამოკლებით) | 0.0 | 0,0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| ვალდებულებების კლება | - 3.1 | 0,0 | 0.0 | 0,0 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| ნაშთის ცვლილება | 1930.6 | -3 973,2 | -178,4 | -3 794,8 | 0.0 | 0.0 | 0.0 |

მუხლი 3. ყაზბეგის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსავლები განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსავლები 7033.0 ათასი ლარის ოდენობით:

| დასახელება | 2016 წლის ფაქტი | 2017 წლის გეგმა | | | 2018 წლის გეგმა | | |
|------------------|-----------------|-----------------|-------------------------------------------------------|----------------------|-----------------|-------------------------------------------------------|----------------------|
| | | სულ | მათ შორის | | სულ | მათ შორის | |
| | | | სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები | საკუთარი შემოსავლები | | სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები | საკუთარი შემოსავლები |
| შემოსავლები | 8482.4 | 8224,7 | 2047,7 | 6177,0 | 7033.0 | 0.0 | 7033.0 |
| გადასახადები | 4209.8 | 4107,6 | 0.0 | 4107,6 | 4164.0 | 0.0 | 4164.0 |
| გრანტები | 2561.2 | 2047,7 | 2047,7 | 0,0 | 85.0 | 0.0 | 85.0 |
| სხვა შემოსავლები | 1711.4 | 2069,4 | 0.0 | 2069,4 | 2784.0 | 0.0 | 2784.0 |

მუხლი 4. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გადასახადები განისაზღვროს ბიუჯეტის გადასახადები 4164,0 ათ. ლარის ოდენობით:

| დასახელება | კოდი | 2016 წლის ფაქტი | 2017 წლის გეგმა | | | 2018 წლის გეგმა | | |
|------------------------------|------|-----------------|-----------------|-------------------------------------------------------|----------------------|-----------------|-------------------------------------------------------|----------------------|
| | | | სულ | მათ შორის | | სულ | მათ შორის | |
| | | | | სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები | საკუთარი შემოსავლები | | სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები | საკუთარი შემოსავლები |
| შემოსულობები | | 8573.8 | 8224,7 | 2047,7 | 6177,0 | 7033.0 | 0.0 | 7033.0 |
| შემოსავლები | 1 | 8482.4 | 8224,7 | 2047,7 | 6177,0 | 7033.0 | 0.0 | 7033.0 |
| არაფინანსური აქტივების კლება | 31 | 91.4 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| შემოსავლები | 1 | 8482.4 | 8224,7 | 2047,7 | 6177,0 | 7033.0 | 0.0 | 7033.0 |



| | | | | | | | | |
|-----------------------------------------------|--------|--------|--------|-----|--------|--------|-----|--------|
| გადასახადები | 11 | 4209.8 | 4107,6 | 0,0 | 4107,6 | 4164,0 | 0,0 | 4164,0 |
| საშემოსავლო გადასახადი | 111 | 123,3 | 120,0 | 0,0 | 120,0 | 120,0 | 0,0 | 120,0 |
| ქონების გადასახადი | 113 | 4086.5 | 3987,6 | 0,0 | 3987,6 | 4044,0 | 0,0 | 4044,0 |
| საქართველოს საწარმოთა ქონებაზე (გარდა მიწისა) | 113111 | 3662.9 | 3945,6 | 0,0 | 3945,6 | 4000,0 | 0,0 | 4000,0 |
| ფიზიკურ პირთა ქონებაზე (გარდა მიწისა) | 113113 | 74.8 | 1,0 | 0,0 | 1,0 | 1,0 | 0,0 | 1,0 |
| სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე | 113114 | 8.8 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 |
| არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე | 113115 | 340.0 | 41,0 | 0,0 | 41,0 | 43,0 | 0,0 | 43,0 |
| არაფინანსური აქტივების კლება | 31 | 91.4 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 |
| ძირითადი აქტივები | 311 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 |

მუხლი 5. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გრანტები
განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გრანტები 85,0 ათ. ლარის ოდენობით:

| დასახელება | 2016 წლის ფაქტი | 2017 წლის გეგმა | 2018 წლის გეგმა |
|---------------------------------------------------------------------------------|-----------------|-----------------|-----------------|
| გრანტები | 2561.2 | 2047,7 | 85,0 |
| სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი ტრანსფერები | 2561.2 | 2047,7 | 85,0 |
| ბიუჯეტით გათვალისწინებული ტრანსფერები | 630.2 | 85,0 | 85,0 |
| გათანაბრებითი ტრანსფერი | 547.1 | 0,0 | 0,0 |
| მიზნობრივი ტრანსფერი დელეგირებული უფლებამოსილების განსახორციელებლად | 83.1 | 85,0 | 85,0 |
| ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები | 1931.0 | 1962,7 | 0,0 |
| საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან გამოყოფილი თანხები | 1782.5 | 1962,7 | 0,0 |
| სოფლის მხარდაჭერის პროგრამა | 148.4 | 0,0 | 0,0 |
| მგფ-ის თანადაფინანსება | 0,0 | 0,0 | 0,0 |
| საქ. მთავრობის სარეზერვო ფონდიდან გამოყოფილი თანხა | 0,0 | 0,0 | 0,0 |
| სხვა პროექტები | 0,0 | 0,0 | 0,0 |



მუხლი 6. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სხვა შემოსავლები
განისაზღვროს მუნიციპალიტეტის სხვა შემოსავლები 2784,0 ათ. ლარის ოდენობით:

| დასახელება | კოდი | 2016 წლის ფაქტი | 2017 წლის გეგმა | 2018 წლის გეგმა |
|----------------------------------------------------------------------------------|--------|-----------------|-----------------|-----------------|
| სხვა შემოსავლები | 14 | 1711.4 | 2069,4 | 2784,0 |
| შემოსავლები საკუთრებიდან | 141 | 85.5 | 27.2 | 12,2 |
| პროცენტები | 1411 | 55.1 | 0.0 | 0,0 |
| რენტა | 1415 | 30.4 | 27.2 | 12,2 |
| მოსაკრებელი ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის | 14151 | 26.9 | 25.0 | 10,0 |
| შემოსავალი მიწის იჯაროდან და მართვაში (უზუფრუქტი, ქირავნობა და სხვა) გადაცემიდან | 14154 | 3.5 | 2.2 | 2,2 |
| სხვა არაკლასიფიცირებული რენტა | 14159 | 0.0 | 0.0 | 0,0 |
| საქონლისა და მომსახურების რეალიზაცია | 142 | 1305.3 | 1817,2 | 2547,5 |
| ადმინისტრაციული მოსაკრებლები და გადასახდელები | 1422 | 1298.4 | 1817,2 | 2519,2 |
| სანებართვო მოსაკრებელი | 14223 | 13.4 | 7.2 | 6,2 |
| სახელმწიფო ბაჟი | 14227 | 0.0 | 0.0 | 0,0 |
| სათამაშო ბიზნესის მოსაკრებელი | 142213 | 1267.7 | 1800,0 | 2500,0 |
| ადგილობრივი მოსაკრებელი დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის | 142214 | 17.2 | 10.0 | 13,0 |
| სხვა არაკლასიფიცირებული მოსაკრებელი | 142299 | 0.0 | 0.0 | 0,0 |
| არასაბაზრო წესით გაყიდული საქონელი და მომსახურება | 1423 | 7.0 | 0.0 | 28,3 |
| შემოსავალი მომსახურების გაწევიდან | 14232 | 7.0 | 0.0 | 28,3 |
| ჯარიმები, სანქციები და საურავები | 143 | 288.4 | 210.0 | 210,0 |
| შერეული და სხვა არაკლასიფიცირებული შემოსავლები | 145 | 32.2 | 15.0 | 14,3 |

მუხლი 7. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯები
განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯები 3790.2 ათ. ლარის ოდენობით:

| დასახელება | 2016 წლის ფაქტი | 2017 წლის გეგმა | | 2018 წლის გეგმა | |
|------------|-----------------|-----------------|-----------|-----------------|-----------|
| | | მათ შორის | მათ შორის | მათ შორის | მათ შორის |
| | | | | | |



| | | სულ | სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები | საკუთარი შემოსავლები | სულ | სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები | საკუთარი შემოსავლები |
|-------------------------|--------|--------|-------------------------------------------------------|----------------------|--------|-------------------------------------------------------|----------------------|
| ხარჯები | 6646.3 | 3728,8 | 256,1 | 3472,7 | 3790.2 | 0,0 | 3790.2 |
| შრომის ანაზღაურება | 917.7 | 846,7 | 27.6 | 819,1 | 856.5 | 0,0 | 856.5 |
| საქონელი და მომსახურება | 432.6 | 939,3 | 186,4 | 752,9 | 902.0 | 0,0 | 902.0 |
| სუბსიდიები | 1501.9 | 1745,8 | 42.1 | 1703,7 | 1845,5 | 0,0 | 1845,5 |
| გრანტები | 11.0 | 17,5 | 0.0 | 17,5 | 6,2 | 0,0 | 6,2 |
| სოციალური უზრუნველყოფა | 161.7 | 157,3 | 0.0 | 157,3 | 163.0 | 0,0 | 163.0 |
| სხვა ხარჯები | 12.3 | 22,2 | 0.0 | 22,2 | 17,0 | 0,0 | 17,0 |

მუხლი 8. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ცვლილება

ა) განისაზღვროს მუნიციპალიტეტის არაფინანსური აქტივების ზრდა 3242.8 ათასი ლარის ოდენობით, თანდართული რედაქციით:

| | 2016 წლის ფაქტი | 2017 წლის გეგმა | 2018 წლის გეგმა |
|-----------------------------------------------------------|-----------------|-----------------|-----------------|
| წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების დაფინანსება | 214.0 | 25,0 | 150.0 |
| თავდაცვა, საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება | 0,0 | 0,0 | 1.2 |
| ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია | 2912.6 | 7783,6 | 3091.6 |
| საგანმანათლებლო დონისძიებები | 0.6 | 319,5 | 0.0 |
| კულტურა, რელიგია, ახალგაზრდობის ხელშეწყობა და სპორტი | 478.7 | 341,0 | 0.0 |
| სოციალური უზრუნველყოფა | 0,0 | 0,0 | |
| სულ | 3605.9 | 8469,1 | 3242.8 |
| | | | |

| | | | |
|----------------------------------------------------------------------------------------------------------------|-----------------|-----------------|-----------------|
| ბ განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების კლება 0.0 ათ. ლარის ოდენობით, მათ შორის: | | | |
| | | | |
| დასახელება | 2016 წლის ფაქტი | 2017 წლის გეგმა | 2018 წლის გეგმა |



| | | | |
|------------------------------|------|-----|-----|
| არაფინანსური აქტივების კლება | 91.4 | 0,0 | 0,0 |
| ძირითადი აქტივები | 0.0 | 0,0 | 0,0 |
| მატერიალური მარაგები | 0.0 | 0,0 | 0,0 |
| არაწარმოებული აქტივები | 91.4 | 0,0 | 0,0 |
| მიწა | 91.4 | 0,0 | 0,0 |

მუხლი 9. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ზრდის ფუნქციონალური კლასიფიკაცია

| | დასახელება | 2016 წლის ფაქტი | 2017 წლის გეგმა | 2018 წლის გეგმა |
|-------|---------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------|-----------------|-----------------|-----------------|
| 701 | საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურება | 1494.5 | 1456,2 | 1672.2 |
| 7011 | აღმასრულებელი და წარმომადგენლობითი ორგანოების საქმიანობის უზრუნველყოფა, ფინანსური და ფისკალური საქმიანობა, საგარეო ურთიერთობები | 1494.5 | 1456,2 | 1672.2 |
| 70111 | აღმასრულებელი და წარმომადგენლობითი ორგანოების საქმიანობის უზრუნველყოფა | 1494.5 | 1456,4 | 1652.2 |
| 70112 | ფინანსური და ფისკალური საქმიანობა | 0,0 | 0,0 | 0,0 |
| 702 | თავდაცვა | 36.2 | 38,2 | 40,0 |
| 703 | საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება | 0.0 | 0,0 | 0,0 |
| 7032 | ხანძარსაწინააღმდეგო დაცვა | 0.0 | 0,0 | 0,0 |
| 704 | ეკონომიკური საქმიანობა | 1480.9 | 5083,5 | 3016.3 |
| 7045 | ტრანსპორტი | 1480.9 | 4879.1 | 2851.6 |
| 70451 | საავტომობილო ტრანსპორტი და გზები | 1480.9 | 4879.1 | 2851.6 |
| 70455 | მილსადენები და სხვა სახის სატრანსპორტო საშუალებები | 0.0 | 0.0 | |
| 7049 | სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა ეკონომიკურ საქმიანობაში | 0,0 | 204.4 | 164,7 |
| 705 | გარემოს დაცვა | 1190.2 | 1711,5 | 240,0 |
| 7051 | ნარჩენების შეგროვება, გადამუშავება და განადგურება | 182.4 | 0,0 | 0,0 |
| 7052 | ჩამდინარე წყლების მართვა | 1007.8 | 1711.5 | 240,0 |
| 706 | საბინაო-კომუნალური მეურნეობა | 701.8 | 1755.7 | 593,0 |
| 7063 | წყალმომარაგება | 462,6 | 0.0 | 0,0 |
| 7064 | გარე განათება | 0.0 | 3.5 | 0,0 |
| | სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა საბინაო-კომუნალურ | | | |



| | | | | |
|-------|-------------------------------------------------------------------|--------|---------|--------|
| 7066 | მეურნეობაში | 239,2 | 1752.2 | 593,0 |
| 707 | ჯამრთელობის დაცვა | 44,0 | 42.1 | 45,0 |
| 7074 | საზოგადოებრივი ჯანდაცვის მომსახურება | 44,0 | 42.1 | 45,0 |
| 708 | დასვენება, კულტურა და რელიგია | 881,6 | 857.9 | 411,5 |
| 7081 | მომსახურება დასვენებისა და სპორტის სფეროში | 149,7 | 204.0 | 199,5 |
| 7082 | მომსახურება კულტურის სფეროში | 731,9 | 653.9 | 209,0 |
| 7084 | რელიგიური და სხვა სახის საზოგადოებრივი საქმიანობა | 0,0 | 0.0 | 3,0 |
| 709 | განათლება | 652,0 | 1079.5 | 831,0 |
| 7091 | სკოლამდელი აღზრდა | 553,7 | 600.0 | 690,4 |
| 7092 | ზოგადი განათლება | 2,4 | 322.5 | 3,0 |
| 70923 | საშუალო ზოგადი განათლება | 2,4 | 322.5 | 3,0 |
| 7098 | სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა განათლების სფეროში | 95,9 | 157.0 | 137,6 |
| 710 | სოციალური დაცვა | 162,0 | 173.3 | 184,0 |
| 7101 | ავადმყოფთა და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სოციალური დაცვა | 135,7 | 121.8 | 124,8 |
| 71011 | ავადმყოფთა სოციალური დაცვა | 131,0 | 116.0 | 120,0 |
| 71012 | შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სოციალური დაცვა | 4,7 | 5.8 | 4,8 |
| 7104 | ოჯახებისა და ბავშვების სოციალური დაცვა | 26,0 | 31.0 | 38,2 |
| 7109 | სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა | 0,3 | 20.5 | 21,0 |
| | სულ | 6643,2 | 12197.9 | 7033,0 |

მუხლი 10. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის მთლიანი სალდო

1. განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის მთლიანი სალდო 0,0 ათასი ლარის ოდენობით.

მუხლი 11. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ფინანსური აქტივების ცვლილება

1. განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ფინანსური აქტივების ცვლილება 0,0 ათასი ლარის ოდენობით.

2. განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ფინანსური აქტივების კლება 0.0 ათასი ლარის ოდენობით.

| დასახელება | 2016 წლის ფაქტი | 2017 წლის გეგმა | | | 2018 წლის გეგმა | | |
|------------|-----------------|-----------------|-------------------------------------------------------|----------------------|-----------------|-------------------------------------------------------|----------------------|
| | | სულ | მათ შორის | | სულ | მათ შორის | |
| | | | სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები | საკუთარი შემოსავლები | | სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები | საკუთარი შემოსავლები |
| | | | | | | | |



| | | | | | | | |
|------------------------------|--------|-----|-----|-----|-----|-----|-----|
| ფინანსური აქტივების ცვლილება | 1927,5 | 7.3 | 7.3 | 0.0 | 0,0 | 0,0 | 0,0 |
| ზრდა | 2035,6 | 7.3 | 7.3 | 0.0 | 0,0 | 0,0 | 0,0 |
| ვალუტა და დეპოზიტები | 2035,6 | 7.3 | 7.3 | 0.0 | 0,0 | 0,0 | 0,0 |
| კლება | 108,1 | 0.0 | 0,0 | 0.0 | 0,0 | 0,0 | 0,0 |
| ვალუტა და დეპოზიტები | 108,1 | 0.0 | 0,0 | 0.0 | 0,0 | 0,0 | 0,0 |

მუხლი 12. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ვალდებულებების ცვლილება

1. განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ვალდებულებების ცვლილება 0.0 ათასი ლარის ოდენობით.

მუხლი 13. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სარეზერვო ფონდი

მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გაუთვალისწინებელი გადასახდელების დაფინანსების მიზნით მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში შექმნილია სარეზერვო ფონდი 20.0 ათასი ლარის ოდენობით. მისი განკარგვა განხორციელდეს მუნიციპალიტეტის გამგებლის გადაწყვეტილების საფუძველზე, რომელიც მოიცავს ინფორმაციას თანხის ოდენობისა და მიზნობრიობის შესახებ. გამოყოფს საფინანსო ორგანო.

მუხლი 14. სახელმწიფო ბიუჯეტიდან მიღებული მიზნობრივი ტრანსფერი

1. დელეგირებული უფლებამოსილებების განსახორციელებლად სახელმწიფო ბიუჯეტიდან მიღებული მიზნობრივი ტრანსფერი 85.0 ათასი ლარი მიიმართოს:

- ა) „საზოგადოებრივი ჯანმრთელობის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული უფლებამოსილების განხორციელებისათვის 45.0 ათასი ლარი.
- ბ) „სამხედრო ვალდებულებისა და სამხედრო სამსახურის შესახებ“ და „სამხედრო სარეზერვო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონებით განსაზღვრული უფლებამოსილების განხორციელებისათვის 40,0 ათასი ლარი.

2. „საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის“ 69-ე მუხლის საფუძველზე წლის განმავლობაში შესაძლებელია დელეგირებული უფლებამოსილებების განსახორციელებლად გამოყოფილი მიზნობრივი ტრანსფერის ამ მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრულ ღონისძიებებს შორის ურთიერთგადანაწილება.

მუხლი 15. მოსახლეობის სოციალური უზრუნველყოფა

მოსახლეობის სოციალური უზრუნველყოფის პროგრამისათვის გამოყოფილი ასიგნებების განკარგვა განხორციელდეს მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ დადგენილი წესის და საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

მუხლი 16. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის პრიორიტეტები და პროგრამები

1. ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია (პროგრამული კოდი 03 00)

მუნიციპალიტეტის ეკონომიკური განვითარებისათვის აუცილებელ პირობას წარმოადგენს მუნიციპალური ინფრასტრუქტურის შემდგომი გაუმჯობესება და აღნიშნული მიმართულება ყაზბეგის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტს წარმოადგენს. აქედან გამომდინარე 2018 წლის განმავლობაში გაგრძელდება საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია, დასუფთავების ღონისძიებები, საკანალიზაციო და წყლის სისტემების რეაბილიტაცია, კეთილმოწყობის ღონისძიებები. მუნიციპალური ინფრასტრუქტურის მშენებლობისა და რეაბილიტაციის გარდა პრიორიტეტის ფარგლებში განხორციელდება არსებული ინფრასტრუქტურის მოვლა-შენახვა.

ათას ლარებში

| პროგრამის კოდი | დასახელება | 2017 წლის გეგმა | 2018 წლის გეგმა | 2019 წლის პროგნოზი | 2020 წლის პროგნოზი |
|----------------|------------|-----------------|-----------------|--------------------|--------------------|
|----------------|------------|-----------------|-----------------|--------------------|--------------------|



| | | | | | |
|----------|------------------------------------------------------------------------------------------|--------|--------|--------|--------|
| 03 00 | ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია | 8550,7 | 3849.3 | 4159.7 | 4289.9 |
| 03 01 | საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია და მოვლა-შენახვა | 4879,1 | 2851.6 | 3390.0 | 3515.0 |
| 03 02 | კომუნალური ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია | 2466,8 | 987.7 | 758.0 | 763.0 |
| 03 02 01 | გარე განათების რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია | 3,5 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| 03 02 02 | წყლის სისტემის მოწყობა-რეაბილიტაცია | 1711,5 | 240.0 | 0.0 | 0.0 |
| 03 02 03 | დასუფთავების ღონისძიებები | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| 03 02 04 | „ყაზბეგის მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის“ ხელშეწყობა | 547,4 | 583.0 | 583.0 | 583.0 |
| 03 02 05 | საპროექტო დოკუმენტაციისა და სამშენებლო სამუშაოების ტექნიკური ზედამხედველობის მომსახურება | 204.4 | 164.7 | 175.0 | 180.0 |
| 03 03 | კეთილმოწყობის ღონისძიებები | 863,0 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| 03 03 01 | გუდაურში ე.წ. "გადასახედის" რეაბილიტაცია | 703,0 | 0.0 | 0,0 | 0,0 |
| 03 03 02 | სასწრაფოს განთავსებისათვის ახალი შენობის მშენებლობა | 160,0 | 0.0 | 0,0 | 0,0 |
| 0304 | სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში განსახორციელებელი პროექტები | 341,8 | 10.0 | 11.7 | 11.9 |
| | | | | | |

1.1 საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია და მოვლა-შენახვა (პროგრამული კოდი 03 01)

მუნიციპალიტეტში სატვირთო და სამგზავრო გადაზიდვების დიდი ნაწილი ავტოტრანსპორტზე მოდის, ამიტომ საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარების ერთ-ერთ მნიშვნელოვან მიმართულებას წარმოადგენს საავტომობილო გზების, ხიდების და ბოგირების მშენებლობის აუცილებლობა. მნიშვნელოვანია ისტორიულ და კულტურულ ძეგლებთან მისასვლელი გზების რეკონსტრუქცია და მოდერნიზება. ზამთარში დიდთოვლობის დროს სოფლებში ტრანსპორტის უსაფრთხო გადაადგილებისათვის თოვლის საფარისაგან გზების გაწმენდა. პროგრამის ფარგლებში განხორციელდება: დაბა სტეფანწმინდაში ელიის მონასტერთან მისასვლელი გზის, სოფ. სნოში და სოფ. სიონში შიდა გზების რეაბილიტაცია, ორი სოფლის დამაკავშირებელი სიონ-გარბნის ხიდის რეკონსტრუქცია და სოფ. ყანობთან მისასვლელი ხიდის მშენებლობა.



1.2 კომუნალური ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია და მოვლა-შენახვა (პროგრამული კოდი 03 02)

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება გარე განათების არსებული ქსელის გაფართოება, მის ექსპლოატაციასთან დაკავშირებული ხარჯები. მუნიციპალიტეტის საკანალიზაციო და წყლის სისტემების რეაბილიტაცია. მოსახლეობის სასმელი წყლით უწყვეტი მომარაგება. უზრუნველყოფილი იქნება მუნიციპალიტეტის ტერიტორიის დასუფთავება და დასუფთავებისათვის რეალური პირობების შექმნა. გარდა აღნიშნულისა გათვალისწინებულია სოფ. ხურთისში საკანალიზაციო ქსელის მშენებლობა და სოფ. ფხელშეში სასმელი წყლის შიდა ქსელის რეაბილიტაცია.

1.2.1 გარე განათების რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია (პროგრამული კოდი 03 02 01)

დღე-ღამის ნებისმიერ დროს მოსახლეობის კომფორტული და უსაფრთხო გადაადგილებისათვის აუცილებელ პირობას წარმოადგენს მუნიციპალიტეტის განათება, რაზეც მუნიციპალიტეტი სისტემატურად ზრუნავს.

1.2.2 წყლის სისტემის მოწყობა - რეაბილიტაცია (პროგრამული კოდი 03 02 02)

ყაზბეგის მუნიციპალიტეტში ყოველწლიურად მიმდინარეობდა საკანალიზაციო და წყალმომარაგების სისტემების რეაბილიტაცია, რაც ეტაპობრივად 2018 წელსაც გაგრძელდება. ქვე პროგრამის ფარგლებში დაგეგმილია: სოფ. ხურთისში საკანალიზაციო ქსელის მშენებლობა და სოფ. ფხელშეში სასმელი წყლის შიდა ქსელის რეაბილიტაცია.

1.2.3 დასუფთავების ღონისძიებები (პროგრამული კოდი 03 02 03)

მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ მთავარ ფუნქციას წარმოადგენს კეთილსაიმედო სანიტარული მდგომარეობის უზრუნველყოფა, საყოფაცხოვრებო ნარჩენებისაგან ბუნკერების გათავისუფლება. მუნიციპალიტეტი სისტემატურად ზრუნავს რაიონის სანიტარული მდგომარეობის გაუმჯობესებაზე.

1.2.4 „ყაზბეგის მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის“ ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 03 02 04)

ქვეპროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია: დაბა სტეფანწმინდის სასაფლაოების და მისი ტერიტორიის მოვლა-პატრონობა, მუნიციპალიტეტის ტერიტორიის გამწვანება, გარე-განათების ქსელის ექსპლოატაცია (რემონტი, გამოცვლა, მონტაჟი), საგზაო ნიშნების მოწყობა, ტერიტორიის დასუფთავება, საყოფაცხოვრებო ნარჩენების გატანა, ზამთრის სეზონზე მუნიციპალური გზების გაწმენდა თოვლისგან, მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სანიაღვრე სისტემის მოვლა-პატრონობა, სოფლების წყალსადენების ექსპლოატაცია და მოვლა-პატრონობა.

1.2.5 საპროექტო დოკუმენტაციისა და სამშენებლო სამუშაოების ზედამხედველობის მომსახურება (პროგრამული კოდი 03. 02. 04)

პროექტი ითვალისწინებს საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტებისა და საქართველოს მთის ფონდიდან განსახორციელებელი ინფრასტრუქტურული პროექტების, სტიქიის შედეგად დაზიანებული ინფრასტრუქტურის აღდგენისთვის საჭირო და მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტიდან დასაფინანსებელი 50 000 ლარზე მეტი ღირებულების პროექტების, საპროექტო და სამშენებლო სამუშაოებზე საზედამხედველო მომსახურებას, ტექნიკური დავალებითა და მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილი ფასების ცხრილის შესაბამისად.

1.3 კეთილმოწყობის ღონისძიებები (პროგრამული კოდი 03 03)

მუნიციპალიტეტში არსებულ საკუთრებაში საკმაოდ ბევრი არასაცხოვრებელი დანიშნულების შენობა-ნაგებობაა, რომლებიც ინფრასტრუქტურული დატვირთვის მატარებელია. ექსპლუატაციის პერიოდის გათვალისწინებით, ხშირად დგება დღის წესრიგში მათზე კეთილმოწყობის სამუშაოების ჩატარების აუცილებლობა.

1.3.1 გუდაურში ე.წ. "გადასახედის რეაბილიტაცია (პროგრამული კოდი 03 03 01)

აღნიშნული პროექტი ითვალისწინებს დაბა გუდაურში ე.წ. "გადასახედის" რეაბილიტაციას.



1.3.2 სასწრაფოს განთავსებისათვის ახალი შენობის მშენებლობა (პროგრამული კოდი 03 03 02)

პროექტი ითვალისწინებს დაბა სტეფანწმინდაში სასწრაფოსათვის ახალი შენობის მშენებლობას.

1.4 სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში განსახორციელებელი პროექტები (პროგრამული კოდი 03 04)

პროგრამა ითვალისწინებს მუნიციპალიტეტის სოფლებში ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაციას და ექსპლოატაციას მოსახლეობის აზრის გათვალისწინებით. კერძოდ: შიდა გზების, სარიტუალო სახლების მშენებლობას, წყლის სისტემის ნაწილობრივ რეაბილიტაციას, წინა წლებში აღდგენილი ობიექტების შემდგომ მოვლა-პატრონობას.

2. განათლება (პროგრამული კოდი 04 00)

მომავალი თაობების აღზრდის მიმართულებით დაწყებითი და ზოგადი განათლების გარდა მნიშვნელოვანი როლი ენიჭება ასევე სკოლამდელ განათლებას, რაც თვითმმართველი ერთეულის საკუთარ უფლებამოსილებებს განეკუთვნება და, შესაბამისად, მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ პრიორიტეტს წარმოადგენს. განხორციელდება საბავშვო ბაღების ფუნქციონირებისათვის საჭირო ყველა ხარჯების დაფინანსება.

| პროგრამის კოდი | დასახელება | 2017 წლის გეგმა | 2018 წლის გეგმა | 2019 წლის პროგნოზი | 2020 წლის პროგნოზი |
|----------------|------------------------------------------|-----------------|-----------------|--------------------|--------------------|
| 04 00 | განათლება | 1079.5 | 831.0 | 724.6 | 724.6 |
| 04 01 | სკოლამდელი აღზრდის ხელშეწყობა | 600.0 | 690.4 | 616.6 | 616.6 |
| 04 02 | საჯარო სკოლებისა და ბაღების რეაბილიტაცია | 322.5 | 3.0 | 3.0 | 3.0 |
| 0403 | მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის ხელშეწყობა | 157.0 | 137.6 | 105.0 | 105.0 |

2.1 სკოლამდელი აღზრდის ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 04 01)

მომავალი თაობის აღზრდის მიმართულებით მნიშვნელოვანი როლი ენიჭება სკოლამდელ განათლებას, რაც თვითმმართველი ერთეულის საკუთარ უფლებამოსილებებს განეკუთვნება და, შესაბამისად, მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ პრიორიტეტს წარმოადგენს, რომლის ფარგლებში განხორციელდება საბავშვო ბაღების ხარჯების დაფინანსება, მათი რეაბილიტაცია, ინვენტარით უზრუნველყოფა. მუნიციპალიტეტში ამ ეტაპზე ფუნქციონირებს შვიდი საბავშვო ბაგა-ბაღი, სადაც დაწყებით განათლებას იღებს 178 ბავშვი.

2.2 საჯარო სკოლებისა და ბაღების რეაბილიტაცია (პროგრამული კოდი 04 02)

ქვეპროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია სოფ. გერგეტის დაწყებითი სკოლისათვის ბინის დაქირავება.

2.3 მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 04 03)

მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ მთავარ მიზანს წარმოადგენს ხელი შეუწყოს მოსწავლეების ცოდნის დონის ამაღლებას. პროგრამის ფარგლებში დაფინანსდება სხვადასხვა წრეები, როგორცაა: ინგლისურის, ხატვის, ქორეოგრაფიული, ქსოვისა და თექის შესწავლის. ყველა მოსწავლეს ექნება საშუალება შესაბამისი განაცხადის საფუძველზე გაიაროს აღნიშნული წრეები.

3. კულტურა, რელიგია, ახალგაზრდობის ხელშეწყობა და სპორტი (პროგრამული კოდი 05 00)



მუნიციპალიტეტის ინფრასტრუქტურული და ეკონომიკური განვითარების პარალელურად აუცილებელია ხელი შეეწყოს კულტურული ტრადიციების დაცვას და ღირსეულ გაგრძელებას. ამასთანავე, ერთ-ერთი პრიორიტეტია ახალგაზრდების მრავალმხრივი (როგორც სულიერი, ისე ფიზიკური თვალსაზრისით) განვითარების ხელშეწყობა და მათში ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრება. შესაბამისად, მუნიციპალიტეტი განაგრძობს კულტურული ობიექტების ფინანსურ მხარდაჭერას, წარმატებული სპორტსმენების ხელშეწყობას და შესაბამისი პირობების შექმნას, რათა ნიჭიერმა ბავშვებმა და ახალგაზრდებმა შეძლონ მათი სპორტული შესაძლებლობების გამოვლინება.

ათას ლარებში

| პროგრამის კოდი | დასახელება | 2017 წლის გეგმა | 2018 წლის გეგმა | 2019 წლის პროგნოზი | 2020 წლის პროგნოზი | | |
|----------------|------------------------------------------------------|-----------------|-----------------|--------------------|--------------------|-------|-------|
| 05 00 | კულტურა, რელიგია, ახალგაზრდობის ხელშეწყობა და სპორტი | 857.9 | 411,5 | 429.3 | 434.3 | | |
| 3.005 01 | სპორტის განვითარების ხელშეწყობა | 204.0 | 199,5 | 158.5 | 159.0 | | |
| 05 02 | კულტურის განვითარების ხელშეწყობა | 653.9 | 209,0 | 267.8 | 271.8 | | |
| 05 02 01 | კულტურული ღონისძიებების დაფინანსება | 452.9 | 13,0 | 38.5 | 41.5 | | |
| 05 02 02 | ბიბლიოთეკების ხელშეწყობა | 41,5 | 41,0 | 50.0 | 50.0 | | |
| 05 02 03 | კულტურის ცენტრის ხელშეწყობა | 159.5 | 155,0 | 172.0 | 173.0 | 377,0 | 361,2 |
| 05 03 | ახალგაზრდული პროგრამების დაფინანსება | 0.0 | 3,0 | 3.0 | 3.5 | | |

3.1 სპორტის განვითარების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 05 01)

